



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება

2019 წლის 7 მაისი

No 82/04

თბილისი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 და 4³ პუნქტების და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. დამტკიცდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების თანდართული სახელმძღვანელო.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ამ ბრძანების ამოქმედებამდე ფინანსური ინსტიტუტებისათვის გაგზავნილი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო“.

მუხლი 3. ფინანსურმა ინსტიტუტებმა, 2020 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყონ ამ სახელმძღვანელოს შესაბამისად იმ კლიენტების რისკების გადაფასება და კლასიფიკაცია, რომლებთანაც საქმიანი ურთერთობა დამყარდა ამ ბრძანების ამოქმედებამდე.

მუხლი 4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კ. გვენეტაძე

**უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასების
სახელმძღვანელო**

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. შესავალი

- ეს სახელმძღვანელო შემუშავებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებების, ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF), ევროკავშირის დირექტივების და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით და მიზნად ისახავს დაეხმაროს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში - სებ) ზედამხედველობას დაქვემდებარებულ მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს (შემდეგში - მონიტორინგის განმახორციელებელი პირი), რისკების ადეკვატურ შეფასებაში.
- რისკზე დამყარებული მიდგომის ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, სახელმძღვანელო განსაზღვრავს იმ ფაქტორების არამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, როგორც საკუთარი ორგანიზაციული და ჯგუფის დონეზე რისკების, ასევე კლიენტების მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (შემდგომ - ML/TF) რისკების შეფასებისას.
- რისკების გადამეტებულად შეფასება იწვევს რესურსების არამიზნობრივ ხარჯებას, ხოლო არასათანადო შეფასება მონიტორინგის განმახორციელებულ პირს მოწყვლადს ხდის მის წინაშე არსებული საფრთხეების მიმართ, რისკზე დამყარებული მიდგომა კი უზრუნველყოფს მონიტორინგის განმახორციელებელი პირის რესურსების ქმედით და ეფექტიან გადანაწილებას. შესაბამისად, რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენება არის არა არჩევითი, არამედ სავალდებულო, ვინაიდან იგი წარმოადგენს კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის ეფექტიანი იმპლემენტაციის წინაპირობას.
- ხაზგასასმელია უმაღლეს მმართველობით პოზიციაზე მყოფი პირების როლი და პასუხისმგებლობა მონიტორინგის განმახორციელებელი პირის შესაბამისობის კულტურის ჩამოყალიბებაში. მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის მასშტაბით რისკების მართვის ეფექტიანი და ქმედითურნარიანი შესაბამისობის კონტროლის სისტემის შემუშავება, მათ შორის, ორგანიზაციის სიდიდის, საქმიანობის სპეციფიკისა და ML/TF რისკების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ორგანიზაცია პროფესიონალი და სანდო თანამშრომლებით, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა თავიანთი უფლება-მოვალობების ეფექტიანი განხორციელებისთვის.

5. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა, ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს, როგორც საქმიან ურთიერთობაში მყოფ კლიენტებთან, ისე, იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც ახორციელებენ ერთჯერად ოპერაციას/გარიგებას, იმ შემთხვევებში, როდესაც, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობით მათ მიმართ პრევენციული ზომების გატარება მოითხოვება.

6. რისკის შეფასებისა და მართვის პროცესი უნდა იყოს ფორმალიზებული. მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უნდა შეეძლოს მისი ეფექტურობის დადასტურება საზედამხედველო ორგანოსთან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) რისკი - ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის რისკი წარმოადგენს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების ხდომილების ალბათობის და გავლენის ერთობლიობას. ML/TF რისკი წარმოადგენს სამი ფაქტორის გაანალიზების შედეგს: საფრთხე (პირი, საქმიანობა ან ობიექტი, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს, როგორც მონიტორინგის განმახორციელებელი პირის რეპუტაციას, ისე სახელმწიფოს და საზოგადოებას), მოწყვლადობა (სისუსტე AML/CFT შიდა კონტროლის სისტემაში/მექანიზმებში) და შედეგი (გავლენა/ზიანი, რაც შეიძლება გამოიწვიოს ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის რეალიზებამ);

ბ) თანდაყოლილი (საწყისი) რისკი - რისკი, რომელიც არსებობს მიზიგაციის (კონტროლის) ზომების გატარებამდე;

გ) ნარჩენი რისკი - რისკი, რომელიც რჩება მიზიგაციის (კონტროლის) ზომების გატარების შემდეგ;

დ) რისკ-ფაქტორი - მახასიათებელი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მახასიათებლებთან ერთობლიობაში ზრდის ML/TF რისკს, გამოწვეულს ცალკეული საქმიანი ურთიერთობით ან ერთჯერადი ოპერაციით;

ე) რისკზე დამყარებული მიდგომა - მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ადგენენ და აფასებენ იმ ML/TF რისკებს, რომლის წინაშეც ისინი დგანან და მათ სამართავად იყენებენ რისკის შესაბამის და პროპორციულ ზომებს;

ვ) ფულადი სახსრების წყარო - კონკრეტულ გარიგებასთან/ერთჯერად ოპერაციასთან დაკავშირებული სახსრების წარმომავლობა;

ზ) ქონების წარმომავლობა - კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის აქტივების წარმომავლობა (მაგალითად, მემკვიდრეობა, დანაზოგი და სხვა);

თ) საქმიანი ურთიერთობა - მონიტორინგის განმახორციელებელ პირს და კლიენტს შორის განგრძობადი ხასიათის საქმიანი, კომერციული ან პროფესიული ურთიერთობა, რომელიც კლიენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევას გულისხმობს;

ი) ერთჯერადი ტრანზაქცია/გარიგება - გარიგება, გარდა საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მომზადებული, დადებული ან შესრულებული გარიგებისა, რომელიც

მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მიერ კლიენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურების გაწევას გულისხმობს.

მუხლი 3. ზოგადი პრინციპები

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ML/TF რისკების შეფასებისა და მართვის მიღება უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ საკითხებს:

- ა) ორგანიზაციული რისკის შეფასება - საკუთარი ორგანიზაციული რისკის შეფასება მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ეხმარება ჰქონდეს ერთიანი (სრულყოფილი) ხედვა მის წინაშე არებულ საფრთხეებსა და სისუსტეებზე, რაც საშუალებას მისცემს განსაზღვროს ორგანიზაციის საჭიროებებზე (საქმიანობის თავისებურებებსა და მოცულობაზე) მორგებული ეფექტიანი რისკების მართვის სტრატეგია. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი, რომელსაც არ გააჩნია მრავალფეროვანი პროდუქტები და არ ახორციელებს საერთაშორისო ოპერაციებს, ემსახურება მხოლოდ რეზიდენტ კლიენტებს, უფლებამოსილია არ შეიმუშავოს რისკის შეფასების ისეთი რთული და დახვეწილი სისტემა, როგორიც სხვა შემთხვევებში მოითხოვება;
- ბ) ერთიანი (სრულყოფილი/კომპლექსური) შეხედულების ჩამოყალიბება - მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა სრულად უნდა შეაგროვოს ის მონაცემები და ინფორმაცია, რაც აუცილებელია ყველა შესაბამისი რისკ-ფაქტორის იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო არ ითვალისწინებს რისკ-ფაქტორების ამომწურავ ჩამონათვალს და მისი საქმიანობის და კლიენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შიდა პოლიტიკით/პროცედურით საჭირო იყოს დამატებითი კრიტერიუმების განსაზღვრა;
- გ) პრევენციული ზომები („იცნობდე შენს კლიენტს“ სტანდარტი) - მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა ორგანიზაციული (საქმიანობის) რისკის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს იმ პრევენციული ზომების ტიპი და დონე, რომელსაც იგი გამოიყენებს საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას ან ერთჯერადი ოპერაციის განხორციელებისას. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გამოსაყენებელი პრევენციული ზომების შერჩევა უნდა განხორციელდეს რისკ-სენსიტიურობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, როცა საქმიან ურთიერთობასთან დაკავშირებული რისკი დაბალია, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს გამოიყენოს კანონმდებლობით დაშვებული გამარტივებული პრევენციული ზომები (SDD), ხოლო როდესაც აღნიშნული რისკი მაღალია, სავალდებულოა გამლიერებული პრევენციული ზომების (EDD) გამოყენება. მონიტორინგის განმახორციელებული პირი ვალდებულია დაუმტკიცოს საზედამხედველო ორგანოს, რომ მის მიერ გატარებული პრევენციული ზომები შეესაბამება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკებს. საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე ან ერთჯერადი ტრანზაქციის განხორციელებამდე სავალდებულოა პრევენციული ზომების გამოყენება, რაც როგორც მინიმუმ, მოიცავს:

- გ.ა) კლიენტის, ბენეფიციარი მესაკუთრის, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დადგენას, იდენტიფიკაციას და ვერიფიკაციას;
- გ.ბ) კლიენტი იურიდიული პირის (ორგანიზაციული წარმონაქმნის, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს) მფლობელობითი და მმართველობითი (კონტროლის) სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის დადგენას;
- გ.გ) კლიენტის საქმიანობის არსის დადგენას;
- გ.დ) საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის დადგენას.
- (დ) მონიტორინგი და განახლება - რისკის შეფასება (ორგანიზაციული, კლიენტის და სხვ.) უნდა ექვემდებარებოდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით გადახედვას. ამასთან, მიუხედავად წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობისა, გადახედვა უნდა მოხდეს გარემოებების ცვლილებისას ან ახალი, შესაბამისი საფრთხეების წარმოშობის შემთხვევაშიც. ორგანიზაციის წინაშე არსებული საფრთხეების, კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების/ტიპოლოგიების ცვლილებების შესაბამისად, პერიოდულ გადახედვას და განახლებას უნდა ექვემდებარებოდეს რისკის შეფასების (მათ შორის, რისკ-ფაქტორები) და მართვის მეთოდოლოგიაც.

თავი II. ორგანიზაციული და ჯგუფის მაშტაბით რისკის შეფასება

მუხლი 4. ორგანიზაციული რისკის შეფასება

1. ორგანიზაციული რისკის შეფასება მოიაზრებს მთელი დაწესებულების მასშტაბით, მისი სტრუქტურის თუ საქმიანობის ყველა მირითად მიმართულებასთან დაკავშირებული ML/TF რისკების შეფასებასა და მათი პრიორიტეტების მიხედვით დახარისხებას, რაც მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ეხმარება მის წინაშე არსებული რისკების მიტიგაციის მიზნით ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრასა და რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებაში.
2. რისკების იდენტიფიცირების, შეფასების და მართვის პროცესი უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, მაქსიმალურად დეტალიზებული და უნდა ხორციელდებოდეს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რისკის ანალიზი უნდა მოხდეს იდენტიფიცირებული რისკების ალბათობისა და გავლენის შესწავლის საფუძველზე, რათა შემდგომ განისაზღვროს მისი ეფექტური მართვისა და მიტიგაციის გეგმა (სტრატეგია).
3. რისკის შეფასების და მართვის სისტემა (მეთოდოლოგია) შესაძლოა განსხვავდებოდეს მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიხედვით, თუმცა, იგი სტანდარტულად უნდა ითვალისწინებდეს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და ანალიზს მინიმუმ შემდეგი მიმართულებებით:

 - ა) კლიენტებთან, პროდუქტებთან და მომსახურებასთან, მიწოდების არხებთან, გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებული საწყისი რისკები;

ბ) შიდა კონტროლის სისტემა და მექანიზმები, მათ შორის, პროგრამული უზრუნველყოფა, შიდა და გარე აუდიტის რეკომენდაციები და საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილი მოთხოვნები, მითითებები და რეკომენდაციები;

გ) ნარჩენი რისკები.

4. რისკის შეფასების შედეგად მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების საპასუხოდ და როგორია ყველაზე უფრო ეფექტური საპასუხო ღონისძიებების სტრატეგია. საპასუხო ღონისძიებათა მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული ML/TF რისკების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, რაც აისახება საფრთხის შემცირებაში და ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევაში. საპასუხო ღონისძიებები ძირითადად მოიცავს რისკის კონტროლს, თუმცა, შესაძლებელია განისაზღვროს ისეთი ღონისძიებების გამოყენება, როგორიცაა რისკის თავიდან აცილება.

5. ორგანიზაციული რისკის შეფასების პერიოდულობის განსაზღვრისას, ორგანიზაციაში უნდა გაითვალისწინოს რიგი მნიშვნელოვანი ფაქტორები, მათ შორის, რისკის წინა შეფასების შედეგები და ასევე მიმდინარე პერიოდში არსებული შიდა და გარე რისკ-ფაქტორები. სტანდატულ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ ორგანიზაციული რისკის შეფასება განხორციელდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ, თუმცა, თუ ორგანიზაცია არგუმენტირებულად მიიჩნევს, რომ რისკის მატარებელ გარემოებებთან დაკავშირებული არსებითი ხასიათის ცვლილებები არ ფიქსირდება, მას შეუძლია რისკების შეფასება განახორციელოს უფრო ნაკლები პერიოდულობით (თუმცა, არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ). გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, საზედამხედველო ორგანოს მითითებისას, ორგანიზაციის რისკის შეფასება შესაძლოა განხორციელდეს საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადებში ან პერიოდულობით.

6. ორგანიზაციული რისკის შეფასების შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული.

მუხლი 5. რისკის შეფასება ჯგუფის მასშტაბით

1. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა, რომელიც საქართველოში რეგისტრირებული სათავო საწარმო (ორგანიზაცია), უნდა უზრუნველყოს ჯგუფის დონეზე რისკების შეფასება და მართვა.
2. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნებისთვის, ჯგუფის დონეზე რისკების შეფასებამ უნდა მოიცას, სათავო ორგანიზაციის, ჯგუფში შემავალი ფილიალების და ასევე, იმ შვილობილი კომპანიების შეფასება, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ მონიტორინგის განმახორციელებელ ფინანსურ ინსტიტუტებს.

3. ჯგუფის მასშტაბით რისკების შეფასება უნდა განხორციელდეს კომპლექსური ანალიზის საფუძველზე და უნდა ითვალისწინებდეს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა:
 - ა) ჯგუფის შემადგენლობაში მყოფ კონკრეტულ ინსტიტუტებთან და მათ სექტორებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები;
 - ბ) ჯგუფის დონეზე შესაბამისობის კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული ხარვეზების ხასიათი და მასშტაბურობა;
 - გ) ჯგუფში შემავალი ინსტიტუტების ერთმანეთზე ზეგავლენის დონე და ზეგავლენის მასშტაბი.
4. სტანდარტულ შემთხვევებში, ჯგუფის მასშტაბით ორგანიზაციული რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს სათავო საწარმოს ორგანიზაციული რისკის შეფასების იდენტური პერიოდულობით.
5. ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული.

თავი III. რისკის შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 6. ML/TF რისკების შეფასებისას გამოსაყენებელი წყაროები

1. დროული წვდომა ML/TF რისკებთან დაკავშირებულ შესაბამის და ობიექტურ ინფორმაციაზე მნიშვნელოვნად განაპირობებს რისკზე დამყარებული მიღების ეფექტიან განხორციელებას. ML/TF რისკ-ფაქტორებთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლებელია მომდინარეობდეს არა ერთი შიდა თუ გარე წყაროდან.
2. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები რისკების იდენტიფიცირების და შეფასების პროცესში უნდა დაეყრდნონ ინფორმაციის შემდეგ წყაროებს:
 - ა) ქვეყნის რისკის შეფასების ეროვნული ანგარიში და სამოქმედო გეგმა;
 - ბ) სებ-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოები;
 - გ) ადგილზე ან/და დისტანციური შემოწმების შედეგად დადგენილი სებ-ის რეკომენდაციები;
 - დ) სებ-ის სექტორული რისკების მიმოხილვა;
 - ე) ადგილზე ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი კარგი და ცუდი პრაქტიკა;
 - ვ) სებ-ის მითითებები, მათ შორის, მაღალი რისკის მატარებელი გარემოებების შესახებ (კლიენტების, პროდუქტების, მიწოდების არხების, გეოგრაფიული არეალის და სხვ.);
 - ზ) სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და საგამოძიებო უწყებების ინფორმაცია, ანგარიშები და ტიპოლოგიები;
 - თ) საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციების ანგარიშები, სახელმძღვანელოები და ტიპოლოგიური კვლევევები;
 - ი) სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია;
 - კ) პრევენციული ზომების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირებს, ასევე, შეუძლიათ გამოიყენონ ინფორმაციის შემდეგი წყაროები:

- ა) ინფორმაცია სამოქალაქო სექტორიდან, მაგალითად „კორუფციის ანგარიში“;
- ბ) ინფორმაცია შესაბამისი ინდუსტრიული სექტორებიდან, როგორიცაა ტიპოლოგიები და ინფორმაცია მზარდი/განვითარებადი რისკების შესახებ;
- გ) ინფორმაცია სანდო კომერციული ორგანიზაციებიდან (მაგ. BASEL, World Check);
- დ) სანდო, ავტორიტეტულ საჯარო წყაროებში განთავსებული ინფორმაცია, მაგალითად, სანდო და ავტორიტეტული მედია გამოცემები;
- ე) კვლევითი ორგანიზაციების და სამეცნიერო წყაროების ინფორმაცია, ანალიტიკური ანგარიშები;
- ვ) თავად მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ცოდნა და პროფესიული გამოცდილება.

მუხლი 7. რისკ-ფაქტორების განსაზღვრის ზოგადი საფუძვლები

1. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ სახელმძღვანელოში ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორები არ არის ამომწურავი და ამასთან, ისინი არ არიან ვალდებულები ნებისმიერ შემთხვევაში განიხილონ და გაითვალისწინონ ყველა მათგანი, თუ მონიტორინგის განმახორციელებელი პირი შესაბამისი ანალიზით განსაზღვრავს, რომ ამ რისკ-ფაქტორს არ აქვს გავლენა საერთო რისკზე. მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს უნდა ესმოდეთ, რომ რომელიმე რისკ-ფაქტორის დამოუკიდებლად (იზოლირებულად) არსებობა ავტომატურად არ განაპირობებს კლიენტისათვის დაბალი ან მაღალი რისკის კატეგორიის მინიჭებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აღნიშნული მოითხოვება კანონმდებლობით, ამ სახელმძღვანელოთი, ქვეყნის რისკის შეფასების ანგარიშით, სამოქმედო გეგმით.
2. ML/TF რისკების შეფასებისას მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა განიხილონ რელევანტური რისკ-ფაქტორები, მათ შორის, ვინ არიან და რას საქმიანობენ მათი კლიენტები/ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომელ გეოგრაფიულ არეალში (ქვეყანაში) მოქმედებენ ისინი, რომელი კონკრეტული პროდუქტების, სერვისების ან ოპერაციების (გარიგების) გამოყენებას მოითხოვენ ისინი, რა მიწოდების არხებს სთავაზობს მათ მონიტორინგის განმახორციელებელი პირი და სხვ.

მუხლი 8. გეოგრაფიული არეალის რისკ ფაქტორები

1. ქვეყნებთან/გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირებისას და შეფასებისას მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს რისკები, რომლებიც უკავშირდება:

- ა) კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის რეზიდენტობის/მოქალაქეობის იურისდიქციას;
- ბ) კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ძირითადი საქმიანობის იურისდიქციას;
- გ) კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის მნიშვნელოვანი პირადი კავშირების¹ იურისდიქციას;
- დ) კლიენტის ტრანზაქციებს (ტრანზაქციების ინიცირების, გავლის ან/და საბოლოო დანიშნულების იურისდიქციები).

2. რისკ-ფაქტორები, რომელიც მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა განიხილოს ქვეყანასთან/იურისდიქციასთან დაკავშირებული ML/TF რისკის დონის შეფასებისას, მოიცავს:

- ა) რისკ-ფაქტორებს, დაკავშირებულს იურისდიქციის AML/CFT რეჟიმის ეფექტიანობასთან;
- ბ) რისკ-ფაქტორებს, დაკავშირებულს ტერორიზმის დაფინანსების დონესთან;
- გ) რისკ-ფაქტორებს, დაკავშირებულს იურისდიქციის გამჭვირვალობის ხარისხთან და საგადასახადო შესაბამისობის საკითხებთან;
- დ) რისკ-ფაქტორებს, დაკავშირებულს იურისდიქციაში არსებული ორგანიზებული დანაშაულობის დონესთან.

3. რისკ-ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია იურისდიქციის AML/CFT რეჟიმის ეფექტიანობასთან:

- ა) ქვეყანა/იურისდიქცია სანდო წყაროების მიერ მიჩნეულია სუსტი მაკონტროლებელი მექანიზმების მქონედ AML/CFT მიმართულებით, მათ შორის, ქვეყანაში არსებული მარეგულირებელი და საზედამხედველო მექანიზმების, საგამოძიებო სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით;
- ბ) აღნიშნული რისკის იდენტიფიცირების მიზნით, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი უნდა გაეცნოს FATF-ის „მაღალი რისკის და არაკონკრეტული“ კატეგორიას, ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ ქვეყნების სიას, რომელთაც აქვთ სტრატეგიული ნაკლოვანებები AML/CFT რეჟიმის მიმართულებით ან მიიჩნევიან მაღალი რისკის მქონედ; ასევე, მიზანშეწონილია გაეცნოს, FATF-ის და სხვა რეგიონული ორგანიზაციების² „ორმხრივ შეფასებებს“ (რეკომენდაციები 10, 26, 27 და IO 3, 4), საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებებს და ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის ანგარიშებს (FSAP).

4. რისკ-ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსების დონესთან:

¹ კლიენტის შემოსავალი ან აქტივები მომდინარეობს ან კლიენტი სხვაგვარად (მაგალითად, კონტრაგენტებით) დაკავშირებულია იურისდიქციასთან.

² FATF-ის ან სხვა რეგიონული ორგანიზაციების წევრობა თავისთვად არ ნიშნავს რომ იურისდიქციის AML/CFT რეჟიმი ადეკვატური და ეფექტურია.

- ა) სანდო წყაროებზე და ასევე, სანდო, ავტორიტეტულ მედია გამოცემებზე ან სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქვეყანა/იურისდიქცია აფინანსებს ტერორიზმს ან ახორციელებს ტერორიზმის დახმარებას სხვა ნებისმიერი ფორმით ან/და აღნიშნული წყაროების მიერ იდენტიფიცირებულია, რომ ტერიტორიაზე მოქმედებენ ტერორისტული ორგანიზაციები ან დაჯგუფებები;
- ბ) ინფორმაციის წყაროების მაგალითებს, მოცემულ შემთხვევებში, წარმოადგენს გლობალური ტერორიზმის ინდექსის ანგარიში (Institute for Economics and Peace), სხვადასხვა სახელმწიფოების ანგარიშები ტერორიზმის შესახებ (მაგალითად, US Department of State);
- გ) ქვეყანა/იურისდიქცია ექვემდებარება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების სანქციებს, ემბარგოს ან სხვა მსგავს ზომებს, როგორიცაა გაერთიანებული ერები ან ევროკავშირი, ასევე, OFAC.

5. რისკ-ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია იურისდიქციის გამჭვირვალობის ხარისხთან და საგადასახადო შესაბამისობასთან: а) სანდო წყაროების მიხედვით, იურისდიქცია არ შეესაბამება სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო საგადასახადო გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაზიარების სტანდარტებს; ბ) ინფორმაციის შესაძლო წყაროებს წარმოადგენს FATF-ის და მსგავსი რეგიონული ორგანიზაციების „ორმხრივი შეფასებები“ (რეკომენდაციები 9, 24, 25 და IO 2 და 5); IMF-ის შეფასებები და საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის მიმოცვლასა და გამჭვირვალობაზე გლობალური ფორუმის ანგარიშები. ასევე, OECD-ის ანგარიშები საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის შესახებ და ფინანსური საიდუმლოების ინდექსი (Tax Justice Network), ფინანსური სექტორის რეგულირება - რესურსების გადანაწილების ინდექსი (World Bank) გამჭვირვალობა, სანდოობა და კორუფცია საჯარო სექტორში (World Bank).

6. რისკ-ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზებული დანაშაულობის ღონესთან:

- ა) სანდო წყაროების ინფორმაციის თანახმად, იურისდიქციაში მნიშვნელოვნადაა გავრცელებული ორგანიზებული დანაშაული, კორუფცია ან ფულის გათეთრების სხვა წინარე (პრედიკატი) დანაშაულები (თაღლითობა, გადასახადებისგან თავის არიდება, უკანონო სათამაშო ბიზნესი, ნარკოდანაშაული, და სხვ.);
- ბ) იურისდიქცია, სანდო წყაროების თანახმად, ვერ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული დანაშაულების ეფექტიან გამოძიებას და სამართლებრივ დევნას.
- გ) ინფორმაციის მაგალითები მოიცავს შემდეგ წყაროებს: კორუფციის გავრცელების ინდექსი (Transparency International); ეკონომიკური თანამშრომლიბის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიშები ანტი-მექრთამეობის კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით; მსოფლიო ნარკოტიკების ანგარიში (UN Office on Drugs and Crime).

7. გარდა ზემოაღნიშნულისა, მონიტორინგის განმახორციელებლმა პირმა, მიზანშეწონილია, გაითვალისწინოს ქვეყნის მმართველობასთან დაკავშირებული

რისკები (მაგალითად, არასტაბილური პოლიტიკური გარემო, სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიის ხარისხი და კონფლიქტური ზონების არსებობა იურისდიქციის შიგნით). აღსანიშნავია, რომ ML/TF მაღალი რისკის მატარებელი შესაძლოა იყოს როგორც ქვეყანა, ასევე მისი ცალკეული ნაწილი, კონკრეტული ან რაიმე ნიშნით დაჯგუფებული ქვეყნების ჯგუფი.

8. მონიტორინგის განმახორციელებლმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, კლიენტთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობის სახემ და მიზნობრიობამ, გამოყენებულმა პროდუქტმა/მომსახურებამ შესაძლოა განსაზღვროს კონკრეტული იურისდიქციის მნიშვნელობა რისკის შეფასების თვალსაზრისით. მაგალითად:

- ა) თუ საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში გამოყენებული სახსრები წარმოშობილია საზღვარგარეთ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმენს იურისდიქციის შეფასება ორგანიზებული დანაშაულობის დონის კუთხით;
- ბ) თუ გზავნილის სისტემით ხდება თანხების მიღება/გაგზავნა, აქცენტი უნდა გაკეთდეს ტერორიზმის დაფინანსების კუთხით კონტრაგენტის/მისი მომსახურე ინსტიტუტის იურისდიქციის შეფასებაზე;
- გ) თუ კლიენტი წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შესაბამისი ქვეყნის AML/CFT რეჟიმს და AML/CFT მიმართულებით ზედამხედველობის ეფექტურობას;
- დ) თუ კლიენტი წარმოადგენს არარეზიდენტ იურიდიულ პირს ან ორგანიზაციულ წარმონაქმნეს, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს იმ ქვეყნის შესაბამისობის ხარისხი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის და საერთაშორისო საგადასახადო გამჭვირვალობის სტანდარტებთან, სადაც იგი, ან მის სტრუქტურაში შემავალი რომელიმე კორპორატიული ერთეული არის რეგისტრირებული.

9. თუ კლიენტის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი მაღალი რისკის იურისდიქციაშია³ ან გარიგება ასეთ იურისდიქციაში რეგისტრირებული ან მოქმედი ფინანსური ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება (გარდა, იმ შემთხვევისა, როდესაც გარიგება ხორციელდება ფინანსური ინსტიტუტის მაღალი რისკის იურისდიქციაში რეგისტრირებული ან მოქმედი შვილობილი საწარმოს (ორგანიზაციის) ან ფილიალის მეშვეობით, თუ ჯგუფის დონეზე შესაბამისობის კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს მაღალი რისკის იურისდიქციაში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების ეფექტურ მართვას), მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაატაროს გაძლიერებული პრევენციული ზომები.

³ ამ პუნქტის მიზნებისთვის, ასეთად განიხილება სებ-ის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „საყურადღებო ზონები“.

10. ისევე, როგორც რისკის ყველა კატეგორია, ცვალებადია გეოგრაფიული რისკებიც. ამდენად, კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის განახლების პარალელურად, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა, პერიოდულად, უნდა განაახლოს ქვეყნების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს კლიენტების რისკის კორექტირება.
11. გეოგრაფიული რისკის შესამცირებლად შესაძლებელია ისეთი მიტიგაციის ზომების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად:
 - ა) გეოგრაფიული რისკის მატარებელი პირებისთვის მაღალრისკიანი პროდუქტების გამოყენების შეზღუდვა;
 - ბ) ასეთ ზონებთან დაკავშირებული პირების გაძლიერებული იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურების გატარება;
 - გ) ასეთ ზონებთან დაკავშირებული პირების ტრანზაქციების გაძლიერებული მონიტორინგი;
 - დ) მაღალი რისკის იურისდიქციებთან გარკვეული დანიშნულების ტრანზაქციების შეზღუდვა, ან მხოლოდ გარკვეული დანიშნულების ტრანზაქციების დაშვება;
 - ე) გარკვეულ ქვეყნებთან ან/და გარკვეული ქვეყნის რეზიდენტებთან ტრანზაქციების ლიმიტირება/აკრძალვა და სხვ.

12. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა მაღალი რისკის მატარებელი იურისდიქციებად უნდა განსაზღვროს სულ მცირე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული საყურადღებო ზონები და ასევე, სექტორების მიხედვით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის“ დანართი 2-ით განსაზღვრული ოფშორული ზონები.

მუხლი 9. კლიენტის რისკ-ფაქტორები

1. კლიენტან, მათ შორის კლიენტის ბენეფიციარ მესაკუთრეებთან დაკავშირებული რისკების შეფასებისას, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა განიხილოს რისკები, რომლებიც უკავშირდება:
 - ა) კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას⁴;
 - ბ) კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის რეპუტაციას; და
 - გ) კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის ქცევას და ბუნებას;

⁴ მაღალრისკიანი საქმიანობა მოიცავს როგორც იურიდიული პირების, ასევე ფიზიკური პირების საქმიანობასაც. მაგალითად, თუ კლიენტი ფლობს ან განაგებს მაღალრისკიან ბიზნესს, აღნიშნული უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი მისი რისკის შეფასებისას.

2. რისკ-ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს კლიენტის (ჩენეფიციარი მესაკუთრის) კომერციულ დაკავშირებული რისკების შეფასებისთვის:

- ა) კლიენტის ან/და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის კავშირი ისეთ სექტორთან, რომელიც დაკავშირებულია კორუფციის მაღალ რისკებთან. მაგალითად:
 - ა.ა) ფარმაცევტული პროდუქციის ან პრეპარატების წარმოება ან/და ვაჭრობა;
 - ა.ბ) იარაღის და საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის და ტრანსპორტის (ნაწილების) წარმოება ან/და ვაჭრობა;
 - ა.გ) ლითონის მაღნების ან/და ძვირფასი ქვების მოპოვება;
 - ა.დ) ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის მოპოვება ან/და ნავთობპროდუქტების წარმოება
 - ა.ე) სახელმწიფო ტენდერები და სხვ.
- ბ) კლიენტის ან მისი ბენეფიციარ მესაკუთრის კავშირი ისეთ სექტორთან, რომელიც დაკავშირებულია მაღალ ML/TF რისკებთან. მაგალითად:
 - ბ.ა) აზარტული თამაშობების ბიზნესი;
 - ბ. ბ) პროფესიული მომსახურების პროვაიდერები;
 - ბ.გ) ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან ან/და მათ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობა;
 - ბ.დ) სპორტული კლუბები, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები;
 - ბ.ე) ძვირადღირებული პროდუქციით (ანტიკვარიატი, ხელოვნების ნიმუშები და სხვ.) ვაჭრობა;
 - ბ.გ) არარეგულირებული საფინანსო შუამავლები;
 - ბ.ზ) უძრავი ქონების აგენტები;
 - ბ.თ) ბინარული ოფციონებით ვაჭრობა;
 - ბ.ი) ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებული საქმიანობა (კასტოდიანური მომსახურება, გადამცვლელი პლატფორმა/ტერმინალი).
 - გ) კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის კავშირი სექტორთან, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მნიშვნელოვანი მოცულობის ნაღდ ფულთან (ბიზნესი არის ქეშ-სენსიტიური).
 - დ) საქმიანობა, რომელიც ხასიათდება გამჭვირვალობის ნაკლებობით, მაგალითად:
 - დ.ა) საქველმოქმედო ორგანიზაციები;
 - დ.ბ) რელიგიური ორგანიზაციები;
 - დ.გ) საგრანტო ორგანიზაციები;
 - დ.დ) არასამთავრობო ორგანიზაციები.
 - ე) კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის პოლიტიკური სტატუსი, მაგალითად:

⁵ შესაბამისი საქმიანობის სფეროს განმარტების მიზნებისთვის, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს სექტორების მიხედვით ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესით“.

ე.ა) იგი წარმოადგენს პოლიტიკურად აქტიურ პირს (PEP) ან გააჩნია მნიშვნელოვანი კავშირები PEP-ებთან (მაგალითად, კლიენტის ერთ-ერთი დირექტორი PEP-ია).⁶

ე.ბ) იგი იკავებს სხვა საჯარო თანამდებობას, რაც საშუალებას აძლევს მას მოახდინოს გავლენა გარკვეულ გადაწყვეტილებებზე საკუთარი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სტატუსიდან გამომდინარე და გამოიყენოს გავლენა პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

ვ) მაღალშემოსავლიანი პირები (High-net-worth Individuals)⁷;

ზ) ბირთვული რეაქტორების მასალების წარმოებასთან ან/და ვაჭრობასთან დაკავშირებული პირები;

თ) ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება.

3. რისკ-ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს კლიენტის და კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისთვის:

ა) მედიაში/საინფორმაციო ბაზებში განთავსებულია უარყოფითი ცნობები და შეფასებები კლიენტთან ან მის ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებით (მაგალითად, ბრალდებები ტერორიზმთან ან სხვა დანაშაულებრივ/უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით). მოცემულ შემთხვევებში, მონიტორინგის განმახორციელებლმა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს ინფორმაციის სანდოობა მისი ხარისხისა და წყაროს დამოუკიდებლობის გათვალისწინებით;

ბ) კლიენტის, ბენეფიციარი მესაკუთრის ან სხვა პირის (რომელიც საჯაროდ ცნობილია, რომ მჭიდროდაა დაკავშირებული კლიენტთან/ბენეფიციარ მესაკუთრესთან) მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა (ან არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი) დანაშაულთა იმ კატეგორიებზე, რომელიც შესაძლებელია განხილულ იქნას ფულის გათეთრების პრედიკატად, ან უშუალოდ ფულის გათეთრების დანაშაულზე.

4. რისკ-ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის ქცევიდან და ბუნებიდან მომდინარე რისკის შესაფასებლად:

ა) ჩნდება ეჭვი კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის (საიდენტიფიკაციო მონაცემების/რეკვიზიტების) უტყუარობასა და სისწორესთან დაკავშირებით (განსაკუთრებით, Non face to face ურთიერთობისას);

ბ) არსებობს საფუძველი, რომ პირი შესაძლოა თავს არიდებდეს საქმიანი ურთიერთობის დამყარებას. მაგალითად, იგი ახორციელებს ერთჯერად ოპერაციებს მაშინ, როცა

⁶ მოცემულ შემთხვევებში, მონიტორინგის განამხორციელებული პირი იყენებს გაძლიერებულ პრევენციულ ზომებს კანონმდებლობის შესაბამისად. „ე.ა“ პუნქტი არ მოიცავს შემთხვევებს, როდესაც კლიენტი საქართველოს სახელმწიფო ორგანო, საჯარო სამრთლის იურიდიული პირი ან სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი საწარმოა.

⁷ მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა თავად უნდა განსაზღვროს პირის მაღალშემოსავლიანად მიჩნევის კრიტერიუმები.

- საქმიანი ურთიერთობის დამყარება უფრო გამართლებულია ეკონომიკური საფუძვლების გათვალისწინებით;
- გ) ფულადი სახსრების წყაროს, ქონების წარმომავლობის მარტივად დასაბუთება შეუძლებელია ან სირთულესთანაა დაკავშირებული. მაგალითად, აღნიშნული არ წარმოადგენს შემოსავალს დაკავებული თანამდებობიდან, მემკვიდრეობიდან, ინვესტიციებიდან და სხვ.;
- დ) კლიენტი გაუმართლებლად ითხოვს ანონიმურობის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს. მაგალითად, კლიენტი თავს იკავებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის წარმოდგენისგან, ან ცდილობს შენიდბოს თავისი საქმიანობის რეალური ბუნება;
- ე) არარეზიდენტი კლიენტის საჭიროებებს სხვა ადგილი უფრო შეესაბამება და კლიენტს არ გააჩნია საფუძვლიანი არგუმენტი, თუ რატომ სარგებლობს მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მომსახურებით;
- ვ) კლიენტის მფლობელობისა და მმართველობის სტრუქტურა არ არის გამჭვირვალე და მარტივად გასაგები. კლიენტის მფლობელობის და მმართველობის სტრუქტურას, რომელიც რთული და ბუნდოვანია, არ გააჩნია დასაბუთებული (აშკარა) კომერციული ან სამართლებრივი მიზეზები/მიზნები;
- ზ) საქმიანი ურთიერთობის საწყის ეტაპზევე სახეზეა საეჭვოობის სხვა ინდიკატორი;
- თ) კლიენტი ან მის სტრუქტურაში შემავალი იურიდიული პირი უშვებს წარმომდგენზე ფასიან ქაღალდებს;
- ი) კლიენტის მმართველობის ან/და მფლობელობის სტრუქტურაში არსებობს ნომინალური მმართველობის/მფლობელობის ელემენტი;⁸
- კ) კლიენტის სტრუქტურაში ფიქსირდება სატრასტო-სამართლებრივი ურთიერთობა;
- ლ) კლიენტი წარმოადგენს იურიდიულ პირს ან სტრუქტურას, რომლის გამოყენებაც შეიძლება აქტივების მართვის მექანიზმად (asset holding vehicle);
- მ) კლიენტი წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას ან საინვესტიციო ფონდს;
- ნ) კლიენტი გეგმავს დიდი მოცულობის საანგარიშო ბალანსის ქონას, შენარჩუნებას, საზღვარგარეთ რეგულარულად ფულის გადარიცხვას, მაღალი რისკის მატარებელი პროდუქტების ინტენსიურ გამოყენებას და სხვ. (რისი იდენტიფიცირებაც ხდება საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას, საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ ინფორმაციის მონიტორინგის განმახორციელებელი პირისთვის მიწოდებისას).

5. კლიენტებისთვის რისკის მინიჭება შესაძლებელია განხორციელდეს სეგმენტის/ჯგუფის მიხედვით (განისაზღვროს კლიენტთა გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც გააჩნიათ მსგავსი მახასიათებლები, მაგალითად, აქვთ მსგავსი შემოსავალი, სარგებლობენ ერთნაირი პროდუქტებით და სხვ.), თუმცა, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერი ტიპის კლიენტურისთვის ერთი და იგივე მეთოდოლოგიის გამოყენება არ არის რელევანტური, ყველა კლიენტს აქვს ინდივიდუალური მახასიათებლები,

⁸ გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნომინალური მფლობელი წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს რისკზე და რომელთა გათვალისწინება აუცილებელია რისკის სწორად მინიჭებისთვის.

6. გეოგრაფიული და კლიენტის რისკის ზემოთ განხილული კრიტერიუმები, უმეტესად, გათვალისწინებულ უნდა იქნას კლიენტის პირველადი რისკის მინიჭებისას.
7. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დაუშვებელია კლიენტისთვის საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას (პირველადი) დაბალი რისკის მინიჭება, თუ სახეზეა გეოგრაფიული (სულ მცირე საყურადღებო/ოფშორული ზონა) ან კლიენტის რისკის რომელიმე ზემოგანხილული კრიტერიუმი. ასევე, დაუშვებელია კლიენტისთვის დაბალი რისკის მინიჭება ან/და შემდგომში დაბალ რისკზე დაწევა (მოდიფიკაციის ფაქტორის არსებობის მიუხედავად), თუ სახეზეა ერთდროულად 2 რისკ-ფაქტორი - გეოგრაფიული (სულ მცირე საყურადღებო/ოფშორული ზონა) და კლიენტის, ასევე, დანართი 1-ის პირველი მუხლით გათვალისწინებული გარემოება. კლიენტის რისკის ადეკვატურად შეფასებისთვის, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა, ასევე, უნდა გაითვალისწინოს მის მიერ გამოყენებული პროდუქტ(ებ)ის/სერვისების, მოსალოდნელი და განმარტივებული ოპერაციების (გარიგებების) რისკიანობა. ამ მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დანართი 2-ით გათვალისწინებულ პროდუქტებს/სერვისებს.

მუხლი 10. კლიენტის რისკის გადაფასება

1. კლიენტის რისკი ცვალებადია და შესაბამისად, დინამიურია რისკის მიხედვით კლიენტების კლასიფიკაციის პროცესი. საწყის ეტაპზე, მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ცოდნა კლიენტის შესახებ არ არის სრულყოფილი და როგორც წესი, ეფუძნება წინასწარ განსაზღვრული რისკ-ფაქტორების შეფასებას (მართალია, კლიენტი წარმოადგენს ინფორმაციას საქმიანი ურთერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის - ტრანზაქციების ტიპის, კონტრაგენტების, ოპერაციების გეოგრაფიული არეალის შესახებ და სხვ. თუმცა აღნიშნულის ვერიფიცირება, რეალურად, საქმიანი ურთიერთობის განმავლობაში ხდება). ამდენად, რისკების სწორად მინიჭების ან/და მათი ცვლილების აუცილებლობის განსაზღვრის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს კლიენტის ტრანზაქციების მუდმივი მონიტორინგი, რათა გამოვლინდეს რამდენად შეესაბამება ამ ტრანზაქციების ხასიათი კლიენტს, საქმიანი ურთიერთობის მიზანსა და განზრახვას და, საჭიროების შემთხვევაში, ფულადი სახსრების ან/და ქონების წარმომავლობას.
2. ამ სახელმძღვანელოში განხილულ როგორც გეოგრაფიული არეალის ცალკეულ რისკ-ფაქტორებთან (მაგალითად, ტრანზაქციების ინიცირებისა და საბოლოო დანიშნულების იურისდიქციები), ისე კლიენტის (მისი ბენეფიციარი მესაკუთრის) რეპუტაციის, ქვევის/ბუნების და ცალკეულ შემთხვევაში, კომერციულ/პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმაცია, ვლინდება

საქმიანი ურთერთობის განმავლობაში (მაგალითად, ტრანზიციების მონიტორინგის, კლიენტის ქცევაზე დაკვირვების შედეგად). ამასთან, ფინანსური აქტივობის მოცულობა და რისკის მატარებელი პროდუქტების გამოყენების სიხშირე (ინტენსიურობა) უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კლიენტის რისკის მოდიფიკაციისთვის.

3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინიჭებული საწყისი რისკის დონე შესაძლებელია საჭიროებდეს შემდგომ ცვლილებას. მიზანშეწონილია, საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას, ძირითადი კრიტერიუმების საფუძველზე კლიენტისთვის მინიჭებული რისკის დონე გადაიხედოს 3-6 თვის შუალედში და საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მისი კორექტირება. ამასთან, საქმიანი ურთიერთობის განმავლობაში, შესაძლებელია რისკის არაერთხელ გადაფასების საჭიროებაც დადგეს.

4. რისკის გადაფასების (მომატების) კრიტერიუმების მაგალითებია:

- ა) მოსალოდნელი და რეალურად განხორციელებული ტრანზაქციების ურთიერთშეუსაბამობა (კლიენტის მიერ გამოყენებული პროდუქტები, განხორციელებული ოპერაციები (ინტენსიურობა, მოცულობა), კონტრაგენტების ვინაობა და სხვ. არ შეესაბამება საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას მოპოვებულ ინფორმაციას და მონიტორინგის განმახორციელებელი პირის მოლოდინს);
- ბ) კლიენტის აქტივობა არ შეესაბამება მონიტორინგის განამხორციელებელ პირთან არსებულ ინფორმაციას კლიენტის ყოფილ, მიმდინარე ან დაგეგმილ საქმიანობასთან, ბრუნვასთან, ფულადი სახსრების ან/და ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით (მაგალითად, კლიენტის საქმიანობისთვის არ არის ნორმალური ქეშ-სენსიტიურობა, ვალუტის ნაღდი ფორმით სისტემატური კონვერტაცია, ან/და ნაღდ ფულთან დაკავშირებული სხვა ტიპის ტრანზაქციები);
- გ) კლიენტი იწყებს მაღალრისკიანი პროდუქტების/მომსახურების ინტენსიურ გამოყენებას;
- დ) კონტრაპენტების ვინაობის ან/და კლიენტის საქმიანობის პროფილის შეცვლა;
- ე) კლიენტის მმართველობის და მფლობელობის სტრუქტურის/ბენეფიციარი მესაკუთრის ცვლილება;
- ვ) კლიენტი ურთიერთობს სხვა მაღალ რისკიან კლიენტებთან;
- ზ) ფიქსირდება მნიშვნელოვანი ცვლილებები (ზრდა) კლიენტის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობაში/რაოდენობაში;
- თ) კლიენტს გააჩნია უჩვეულო ან მოულოდნელი მახსაიათებლები კლიენტის ჩვეულებრივი საქმიანობის გათვალისწინებით ან მსგავს კლიენტებთან შედარებით და მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვერ ადგენს ეკონომიკურ მიზნობრიობას ან სამართლებრივ საფუძველს ან არსებობს ეჭვი მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობასთან დაკავშირებით;
- ი) მონიტორინგის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი ხდება ნეგატიური ინფორმაცია კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის სანდოობასთან და რეპუტაციასთან

დაკავშირებით (მაგალითად, მონიტორინგის განამხორციელებელმა პირმა საჯარო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვა ან სახელმწიფო ორგანიზაციებისგან მიიღო ინფორმაცია კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის უკანონო საქმიანობაში შესაძლო ჩართულობის შესახებ, მედიაში განთავსებულია უარყოფითი ცნობები, შესაბამის ბაზებში იძებნება ნეგატიური ინფორმაცია);

კ) კლიენტთან ან ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებით გადაგზავნილია ანგარიშება საეჭო სტატუსით;

ლ) ჩნდება ეჭვი კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის უტყუარობასა და სისწორესთან დაკავშირებით (განსაკუთრებით, Non face to face ურთიერთობისას);

მ) არსებობს საფუძველი, რომ პირი შესაძლოა თავს არიდებდეს საქმიანი ურთიერთობის დამყარებას. მაგალითად, იგი ახორციელებს ერთჯერად ოპერაციებს მაშინ, როცა საქმიანი ურთიერთობის დამყარება უფრო გამართლებულია ეკონომიკური საფუძვლების გათვალისწინებით;

ნ) კლიენტი, დროის მცირე მონაკვეთში, ერთსა და იმავე პროვაიდერთან ხსნის რამოდენიმე ელექტრონულ საფულეს, ხშირად ავსებს საფულეებს ან/და ინტენსიურად ახორციელებს ნაღდი ფულის გატანას;

ო) პროდუქტი გამოიყენება სხვადასხვა IP მისამართიდან (აღნიშნული შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ პროდუქტის (მაგალითად, ელექტრონული საფულის) გამოყენება ხდება სხვადასხვა პირის მიერ;

პ) ტრანზაქციის განხორციელება უქმდება უსაფუძვლოდ/დაუსაბუთებლად;

ჟ) ხდება ფასიანი ქაღალდების/ფულის მომრაობა ერთი და იგივე პიროვნების მიერ კონტროლირებად სხვადასხვა ანგარიშებს შორის;

რ) კლიენტი უარს აცხადებს დამატებითი ინფორმაციის წარდგენაზე, ხშირად იცვლის საცხოვრებელ მისამართს, IP მისამართს, დაკავშირებულ საბანკო ანგარიშებს, გაუმართლებლად ითხოვს ანონიმურობის განსაკუთრებით მაღალ ხარისხს ან სახეზეა საეჭვოობის სხვა ინდიკატორი.

5. რისკის გადაფასება (შემცირება) შესაძლოა განხორციელდეს, როცა:

ა) საქმიანი ურთიერთობის განმავლობაში კლიენტი აქტიურად არ იყენებს რისკის მატარებელ პროდუქტებს;

ბ) კლიენტი ახორციელებს უმეტესად ერთი ტიპის, არა-მოცულობით, ადგილობრივ ტრანზაქციებს;

გ) მონიტორინგის განმახორციელებელ პირს გააჩნია ინფორმაცია კლიენტის და ბენეფიციარი მესაკუთრის სანდობასთან და რეპუტაციასთან დაკავშირებით, რომელიც მას ჩამოუყალიბდა კლიენტთან ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობის შედეგად, იგი სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას კლიენტის და მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების მიზნობრიობის შესახებ (მაგალითად, კლიენტი გზავნილის სისტემით იღებს ჩარიცხვებს ოჯახის წევრისგან, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს/მუშაობს) და სხვ.;

დ) თუ სახეზე აღარ არის ის გარემოება, რამაც კლიენტისთვის შესაბამისი რისკის მინიჭება გამოიწვია.

6. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შიდა პროცედურებით დამატებით განსაზღვროს რისკის ცვლილების კრიტიკულები/ინდიკატორები, რომლებიც უნდა იყოს ლოგიკური და დასაბუთებული.
7. კლიენტის რისკის რეიტინგის მოდიფიკაცია (შემცირება) უნდა განხორციელდეს კვალიფიციური თანამშრომლის მიერ, ხოლო თუ აღნიშნული ხდება პროგრამულად (გარკვეული პარამეტრების გათვალისწინებით), მონიტორინგის განმახორციელებელი პირი უნდა დარწმუნდეს პარამეტრების ადეკვატურობაში.
8. მაღალი რისკის მატარებელი კლიენტისთვის მინიჭებული რისკის დონის შემცირება საქმიანი ურთიერთობის დამყარებიდან/მაღალი რისკის მინიჭებიდან 1 წლის განმავლობაში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის განმახორციელებელი პირი სათანადო ანალიზის საფუძველზე დასაბუთებს რისკის დაწევის მიზანშეწონილობას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი/ბენეფიციარი მესაკუთრე მსჯავრდებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის/პრედიკატი დანაშაულის საქმეში ან/და არსებობს სახელმწიფო ორგანოების მითითება/გაფრთხილება კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის უკანონო საქმიანობაში ჩართულობის შესახებ). ასეთი დასაბუთება უნდა იყოს დოკუმენტირებული/აღრიცხული და მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარედგინოს საზედამხედველო ორგანოს.
9. როგორც პირველადი რისკის მინიჭება, ასევე, რისკის მოდიფიკაცია უნდა განხორციელდეს ადეკვატური ინფორმაციის მოპოვების შედეგად. რისკის მოდიფიკაცია სხვა ფაქტორებთან ერთად (ბენეფიციარის ცვლილება, ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება და სხვ.) აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ტრანზაქციების სისტემატურ ანალიზს (მონიტორინგს).
10. კლიენტის რისკის გადაფასებისთვის მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს:
 - ა) იდენტური საქმიანობის განმახორციელებელი და მსგავსი მახასიათებლების მქონე კლიენტების ბრუნვებისა და ოპერაციების პერიოდული შედარების და ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები;
 - ბ) კლიენტის მომსახურე თანამშრონლის ხელთ და ორგანიზაციის შიგნით არსებული ინფორმაცია კლიენტის შესახებ და სხვ.
11. კლიენტის რისკის გადახედვა უნდა ხდებოდეს პერმანენტულად და ასევე, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, კლიენტის შესახებ ინფორმაციის განახლების პარალელურად (მაღალი რისკი - ყოველწლიურად, საშუალო - 2-3 წელი, დაბალი - 3-5 წელი).

მუხლი 11. პროდუქტების, სერვისების და ოპერაციების რისკ ფაქტორები

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირმა პროდუქტებთან, სერვისებთან ან ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებისას/შეფასებისას, უნდა განიხილოს რისკები, რომლებიც უკავშირდება:

- ა) პროდუქტით, სერვისით ან გარიგებით გათვალისწინებული გამჭვირვალობის დონეს;
- ბ) პროდუქტის, სერვისის ან გარიგების კომპლექსურობას; და
- გ) პროდუქტის, სერვისის ან გარიგების მოცულობას ან ღირებულებას.

2. პროდუქტის, სერვისის, გარიგების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა განიხილოს შემდეგი რისკ-ფაქტორები:

- ა) პროდუქტი ხელს უწყობს კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის ანონიმურობას ან ართულებს მათი ვინაობის დადგენას (მაგალითად, ნომინალური მფლობელობის ანგარიში, დისტანციური ფინანსური პროდუქტები, არაპერსონოფიცირებული წინასწარი გადახდის ბარათი);
- ბ) პროდუქტი ართულებს ტრანზაქციების კვალის მიდევნებას (საერთაშორისო ტრანზაქციები (მათ შორის, როდესაც ფინანსური ინსტიტუტი ასრულებს შუამავლის როლს), ასევე, სწრაფად და ელექტრონულად განხორციელებადი სერვისები (ელექტრონული ფულით განხორციელებული საერთაშორისო ოპერაციები);
- გ) მესამე მხარის (რომელიც არ არის საქმიანი ურთიერთობის მხარე) მიერ გაცემული ინსტრუქციების მასშტაბი (მაგალითად, რიგი საკორესპონდენტო ურთიერთობები).

3. პროდუქტის, სერვისის, გარიგების კომპლექსურობასთან დაკავშირებული რელევანტური რისკ-ფაქტორები:

- ა) გარიგების სირთულის ხარისხი და რამდენიმე მხარის ან იურისდიქციის ჩართულობა ტრანზაქციაში (მაგალითად, გარკვეული ტიპის საბანკო გარანტია ან დოკუმენტური აკრედიტივი);
- ბ) ინოვაციურ პროდუქტთან/სერვისთან და გადახდის მეთოდებთან დაკავშირებული რისკები (რომელთა შესახებ მონიტორინგის განმახორციელებელ პირს თავდაპირველად შესაძლოა არ ქონდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება).

4. პროდუქტის, სერვისის ან გარიგების მოცულობასთან ან ღირებულებასთან დაკავშირებული რელევანტური რისკ-ფაქტორები მოიცავს:

- ა) პროდუქტის „ქეშ-ინტენსიური“ ხასიათი (მაგალითად, ანგარიშზე თანხების განთავსება, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები ნაღდი ფულის საშუალებით);

ბ) პროდუქტი არ ითვალისწინებს არანაირ შეზღუდვას მოცულობითი ტრანზაქციების განხორციელებასთან მიმართებით. მაგალითად, არ არსებობს ლიმიტები (ტრანზაქციის თანხაზე, რაოდენობაზე) როგორც გადახდებზე, ისე შევსებას/შენახვას და ნაღდი ფულის გატანაზე.

მუხლი 12. მიწოდების არხების რისკ-ფაქტორები

1. შეთავაზებული პროდუქტის ან სერვისის მიწოდების გზასთან დაკავშირებული რისკის იდენტიფიცირებისას, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია:
 - ა) პროდუქტზე დისტანციური წვდომასთან;
 - ბ) პროდუქტის მესამე პირის/შუამავლის მეშვეობით მიწოდებასთან.
2. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პროდუქტზე კლიენტის დისტანციური წვდომის შესაძლებლობა, ან პროდუქტის მიწოდება მესამე პირის/შუამავლის მეშვეობით ზრდის პროდუქტის რისკს. შესაბამისად, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა თავისი პროდუქტების მიწოდების არხების და მესამე პირების/შუამავლების მონაწილეობის გათვალისწინებით უნდა შეაფასოს თითოეული პროდუქტის რისკი. ადსანიშნავია, რომ თუ უშუალო (face-to-face) ურთიერთობისას, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს საშუალება აქვს გამოავლინოს კლიენტის უჩვეულო ქცევა, დისტანციური ფინანსური პროდუქტების, მესამე პირების/შუამავლების მეშვეობით მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, აღნიშნული შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს.
3. პროდუქტებზე დისტანციური წვდომის შესაძლებლობა წარმოშობს ვინაობის (საიდენტიფიკაციო მონაცემების/რეკვიზიტების) მოპარვის/გაყალბების რისკს. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა განიხილოს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანი ურთიერთობის უშუალო იდენტიფიკაციის გარეშე განხორციელებასთან და შეიმუშავოს დისტანციური პრევენციული ზომების განხორციელების სანდო ფორმა და ნაბიჯები ვინაობის გაყალბების პრევენციისთვის (მაგალითად, ჩარიცხვის ოპერატორის სხვა ფინანსური ინსტიტუტიდან). რისკების შემცირების ზომებად, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა შესაძლოა განიხილოს, პროდუქტის/მომსახურების რისკის გათვალისწინებით, შეზღუდვების დაწესება მიწოდების არხებზე, მაგალითად, არ დაუშვას დისტანციური საშუალებებით საერთაშორისო ტრანზაქციების განხორციელება იმ კლიენტების მიერ, რომელთა უშუალო იდენტიფიკაციაც არ განუხორციელებიათ, დაწესდეს გონივრული თანხობრივი ლიმიტები და სხვ.
4. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეისწავლოს მესამე პირი/შუამავლი და შეაფასოს მისგან მომდინარე რისკები საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე. ვალდებულებები ნათლად უნდა განისაზღვროს მონიტორინგის

განმახორციელებელ პირსა და მესამე პირს/შუამავალს შორის, AML/CFT მოთხოვნების დაცვის მიმართულებით.

5. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა განიხილოს:

- ა) თუ მესამე პირი/შუამავალი იმავე ფინანსური ჯგუფის წევრია, დარწმუნებულია თუ არა მონიტორინგის განმახორციელებელი პირი რომ ჯგუფის მასშტაბით მოქმედი შიდა კონტროლის პროცედურები არის საკმარისად ადეკვატური;
- ბ) თუ მესამე პირი/შუამავალი არ არის იგივე ჯგუფის წევრი, რომ:
 - ბ.ა) მესამე პირი/შუამავალი იყენებს დამაკმაყოფილებელ პრევენციულ ზომებს და ინახავს ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობის ან/და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად და მასზე ხორციელდება ეფექტური ზედამხედველობა AML/CFT ვალდებულებებთან შესაბამისობის კუთხით;
 - ბ.ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი პირი დაუყოვნებლივ შეძლებს მისგან მოიპოვოს საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია;
 - ბ.გ) მესამე პირი/შუამავალი მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, წარმოადგენს საიდენტიფიკაციო და ვერიფიკაციის დოკუმენტების შესაბამის ასლებს.

6. დაუშვებელია პრევენციული ღონისძიებების გატარებისას დაყრდნობა მესამე პირზე/შუამავალზე, რომელიც რეგისტრირებულია ან საქმიანობს მაღალი რისკის იურისდიქციაში. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია, თუ მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ეყრდნობა მაღალი რისკის იურისდიქციაში მოქმედ ან რეგისტრირებულ ფილიალს ან შვილობილ საწარმოს (ორგანიზაციას), რომელიც არის იმავე ჯგუფის წევრი, თუ ჯგუფის დონეზე შესაბამისობის კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს მაღალი რისკის იურისდიქციაში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების ეფექტიან მართვას.

7. თუ კლიენტებისთვის ფინანსური სერვისების მიწოდებას, მონიტორინგის განმახორციელებელი პირი ახდენს აგენტების მეშვეობით, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა, სულ მცირე უნდა:

- ა) შეისწავლოს მისი რეპუტაცია;
- ბ) დარწმუნდეს, რომ აგენტი შეძლებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას;
- გ) განახორციელოს აგენტის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების მონიტორინგი.

8. პროდუქტის და მისი მიწოდების რისკი შეიძლება განვიხილოთ დამოუკიდებელ რისკებად ან ერთობლიობაში.

9. ერთი და იგივე პროდუქტი შესალებელია სხვადასხვა რისკის მატარებელი იყოს იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის კლიენტი იყენებს მას. მაგალითად, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, პერსონალური საბანკო მომსახურება (private banking) განიხილება როგორც მაღალრისკიანი პროდუქტი, თუმცა თუ მისი გამოყენება ხდება მხოლოდ რეზიდენტების მიერ, ამასთან, ლიმიტირებულია ტრანზაქციის თანხები და ა.შ. მოცემული პროდუქტი შეიძლება არ იქნას განხილული მაღალი რისკის მატარებლად.

10. პროდუქტის რისკების შემცირების მიზნით, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა შესაძლებელია:

- ა) მოახდინოს ტრანზაქციის თანხის ლიმიტირება;
- ბ) შეზღუდოს მაღლი რისკის პროდუქტის მაღალი რისკის კლიენტის მიერ გამოყენება;
- გ) შეზღუდოს გარკვეული პროდუქტის გამოყენება (მაგალითად, ფულადი გზავნილები) გარკვეულ ქვეყნებთან;
- დ) მაღალი რისკის მატარებელი პროდუქტის გამოყენების შემთხვევაში, ყველა კლიენტის მიმართ საწყის ეტაპზე გაატაროს გაძლიერებული პრევენციული ზომები, ან აწარმოოს ტრანზაქციების გაძლიერებული მონიტორინგი და სხვ.

მუხლი 13. პროდუქტის რისკის შეფასების პროცესი

1. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა, ახალი ტექნოლოგიის, პროდუქტის, მომსახურების ან მიწოდების ახალი საშუალების დანერგვამდე ან ბიზნეს პრაქტიკაში სხვა არსებითი ცვლილების შეტანამდე, უნდა შეაფასოს მისი გავლენა თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე.

2. ახალი პროდუქტის დამტკიცების პროცესში უნდა:

- ა) მოიცვას ახალი პროდუქტის/მომსახურების/მიწოდების არხის თანმდევი რისკების შეფასება;
- ბ) განსაზღვროს საჭირო კონტროლები, რისკების მართვის პროცესები და რისკის მიტიგაციის სტრატეგიები;
- გ) შეაფასოს ნარჩენი რისკი;
- დ) უზრუნველყოს ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობა ახალი პროდუქტის დამტკიცების პროცესში (სულ მცირე შესაბამისობის ოფიცერი, ასევე, საჭიროების შესაბამისად, იურიდიული სამსახური, ინფორმაციული უსაფრთხოება, შიდა აუდიტი და სხვ).

3. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ აქვს რისკის მართვის შესაბამისი რესურსი, ინფრასტრუქტურა და პროცესები და მხოლოდ ამის შემდეგ დანერგოს პროდუქტი/მიწოდების არხი ბიზნეს პრაქტიკაში.

4. მონიტორინგის განმახორციელებლმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ნებისმიერი ცვლილება პროდუქტის მახასიათებლებში (მაგალითად, ტექნოლოგიური ცვლილება, ახალი სეგმენტის ათვისება) საჭიროებს რისკის გადაფასებას.
5. პროდუქტის რისკის შეფასება უნდა იყოს დოკუმენტირებული.

მუხლი 14. ML/TF რისკის შეწონვა

1. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა ერთობლივად უნდა განიხილოს იდენტიფიცირებული ML/TF რისკ-ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საქმიან ურთიერთობასთან ან ერთჯერად ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ML/TF რისკის დონეს.
2. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გააანალიზონ მოპოვებული ინფორმაცია რისკ-ფაქტორების შესახებ, შეაფასონ მათი ხდომილების ალბათობა და განსაზღვრონ რა გავლენას იქონიებს იდენტიფიცირებული საფრთხეები მათზე.
3. რისკების შეფასებისას, მონიტორინგის განმახორციელებელ პირს შეუძლია სხვადასხვა ფაქტორებს მიანიჭოს სხვადასხვა წონები (კოეფიციენტები) მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ შეფასებას.
4. რისკ-ფაქტორების შეწონვისას, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ:
 - ა) შეწონვა არ განხორციელდეს დაუსაბუთებლად, მხოლოდ ერთი ფაქტორის გავლენით (გარდა ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული შემთხვევებისა);
 - ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ეკონომიკურმა ან მოგების მიღების მიზნებმა გავლენა არ იქონიოს რისკის შეფასებაზე;
 - გ) შეწონვამ არ გამოიწვიოს სიტუაცია, როდესაც შეუძლებელი იქნება საქმიანი ურთიერთობისთვის/ოპერაციისთვის მაღალი რისკის მინიჭება;
 - დ) შეწონვამ არ გამოიწვიოს საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყნის რისკის შეფასების დოკუმენტით, ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა; და
 - ე) იმისთვის, რომ რისკის ნაკლები დონე არ მიენიჭოს კლიენტს, რომელიც საჭიროებს მომატებულ ყურადღებას, მონიტორინგის განამხორციელებელ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, აუცილებლობის შემთხვევაში, გადაძლიოს რისკის სტანდარტულად/ავტომატურად მინიჭებული დონე.
5. თუ მონიტორინგის განმახორციელებელი პირი იყენებს ავტომატიზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას (გარე მომწოდებლისგან) ქულების განაწილების, საბოლოო ქულების გამოთვლის და საქმიანი ურთიერთობის ან ერთჯერადი ტრანზაქციის კატეგორიზაციისთვის, მას უნდა ესმოდეს სისტემის მუშაობის

პრინციპები, ე.ო. რა პრინციპით ხდება რისკ-ფაქტორების გაერთინება საერთო რისკის ქულის მისაღებად და როგორ ხდება რისკების კატეგორიზაცია. ამასთან, პროგრამული უზრუნველყოფის მახასიათებლები მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნებს.

6. რისკების კატეგორიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა კატეგორიზაცია მაღალი, საშუალო და დაბალი დონეების მიხედვით.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

1. კლიენტის რისკის სისტემატიზირების მიზნებისთვის უპირატესობა ენიჭება პროგრამულ ანკეტირებას, რათა ინფორმაცია ოპერატიულად იყოს ხელმისაწვდომი ყველა იმ თანამშრომლისთვის, ვისაც თავისი საქმიანობიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეს წვდომა ამ ტიპის ინფორმაციასთან.
2. მონიტორინგის განმახორციელებელი პირები უფლებამოსილი არიან დამატებით განსაზღვრონ თავისი საქმიანობის სპეციფიკაზე მორგებული დაბალი რისკის მინიჭების ან/და რისკის შემცირების კრიტერიუმები. თითოეული ასეთი კრიტერიუმი უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული/არგუმენტირებული და პოლიტიკა/პროცედურებში გაწერილი.
3. თუ რისკის დაწევის კრიტერიუმი ან დაბალი რისკის კრიტერიუმი არ არის პოლიტიკა-პროცედურით განსაზღვრული და დაბალი რისკის მინიჭება/რისკის შემცირება განპირობებულია კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა განახორციელოს სათანადო ანალიზი და აღნიშნულის დოკუმენტირება/აღრიცხვა. ანალიზში უნდა იყოს მითითებული შესაბამისი გარემოებები, დასაბუთება, ანალიზის თარიღი და მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული უნდა წარედგინოს საზედამხედველო ორგანოს.
4. კლიენტისთვის დაბალი რისკის მინიჭება არ ათავისუფლებს მონიტორინგის განმახორციელებელ პირს ტრანზაქციების მუდმივი მონიტორინგის ვალდებულებისგან.
5. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს საქმიან ურთიერთობაში მყოფი და ერთჯერადი ტრანზაქციის/გარიგების (ამ სახელმძღვანელოს პირველი მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში) მონაწილე ყველა კლიენტის კლასიფიკაცია რისკის დონის მიხედვით.
6. მონიტორინგის განმარციელებელმა პირმა არ უნდა დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა კლიენტთან, თუ:

- ა) რისკის შესაბამისი პრევენციული ზომები არ არის განხორციელებული;
- ბ) მონიტორინგის განმახორციელებელი პირი არ არის დარწმუნებული საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის ლეგიტიმურ საფუძველში; ან
- გ) იგი არ არის დარწმუნებული, რომ მოახერხებს რისკების ეფექტურად მართვას.

7. თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანი ურთიერთობა უკვე არსებობს, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა შეწყვიტოს იგი ან შეაჩეროს მომსახურება.

8. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენება არ მოითხოვს, რომ მათ უარი თქვან საქმიან ურთიერთობებზე ან შეწყვიტონ აღნიშნული მაღალი რისკის მატარებელ კლიენტთან. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გატარება და კლიენტთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური მართვა.

9. მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ეფექტიანობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკის იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრაში დიდად არის დამოკიდებული თანამშრომლების კვალიფიკაციაზე. ყველა თანამშრომელი უნდა იცნობდეს იმ სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოს, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის საფუძვლებს, რომელიც მისი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს. ამ მიზნით, მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი თანამშრომლების ადეკვატური სწავლების პროგრამების განხორციელება, იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ თანამშრომლებს უნდა შეეძლოთ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის/ტერორიზმის დაფინანსების რისკის იდენტიფიცირება კლიენტთან, მის ოპერაციებთან/ბიზნესთან ან პროდუქტთან მიმართებაში.

10. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ აპერაციები მცირე მოცულობის უმნიშვნელო თანხებით, რომლებიც შესაძლებელია რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენებისას მინიმალური რისკის მატარებელ აპერაციებად კლასიფიცირდებოდეს, შესაძლოა საყურადღებო იყოს ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნებისთვის. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისგან განსხვავებით, ტერორიზმის დაფინანსებისთვის განკუთვნილი სახსრების წყარო შესაძლებელია იყო ლეგალური, აპერაციები შეიძლება ხორციელდებოდეს ღიად და ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გარიგების შთაბეჭდილებას ტოვებდეს, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ გამოვლენას. ამდენად, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ასევე ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის რისკზე დამყარებული მიდგომის უმნიშვნელოვანეს და მირითად ელემენტს კლიენტების ტრანზაქციების მუდმივი მონიტორინგი და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელება უნდა წარმოადგენდეს.

მუხლი 1. კლიენტები, რომელთაც არ უნდა მიენიჭოთ რისკის დაბალი დონე

მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა კლიენტს არ უნდა მიანიჭოს რისკის დაბალი დონე, თუ:

- ა) იგი არის არარეზიდენტი მერჩანტი;
- ბ) მისი იდენტიფიკაცია ხდება არარეზიდენტ მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობით;
- გ) იგი სარგებლობს საერთაშორისო საბანკო გარანტიით/აკრედიტივით¹;
- დ) გარიგება დაკავშირებულია წარმომდგენზე ფასიან ქაღალდებთან.

მუხლი 2. კლიენტებისთვის რისკის მაღალი დონის მინიჭების კრიტერიუმები

1. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა რისკის მაღალი დონე უნდა მიანიჭოს შემდეგ კლიენტებს:

- ა) ბინარული ოფციონებით მოვაჭრე არარეზიდენტი კომპანიები;
- ბ) ვირტუალური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის/კასტოდიანური მომსახურების განმახორციელებელი პირები;
- გ) პოლიტიკურად აქტიური პირები;
- დ) კლიენტი, რომლის ხელმძღვანელი/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირია²;
- ე) კლიენტი წარმოადგენს საფინანსო საქმიანობის განმახორციელებელ პირს ისეთი იურისდიქციიდან, სადაც არ მოქმედებს ეფექტური AML/CFT რეჟიმი;
- ვ) საქველმოქმედო ორგანიზაციები³;
- ზ) რელიგიური ორგანიზაციები;
- თ) აზარტული თამაშების საქმიანობების განმახორციელებელი პირები;
- ი) კლიენტი/ბენეფიციარი მესაკუთრე ან/და ხელმძღვანელი ეჭვმიტანილი/ბრალდებული/მსჯავრდებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის/პრედიკატი დანაშაულის საქმეში;
- კ) არსებობს სახელმწიფო ორგანოების მითითება/გაფრთხილება კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის უკანონო საქმიანობაში ჩართულობის შესახებ;

¹ ამ შემთხვევაში, კლიენტის რისკის შემდგომი დაწევა დასაშვებია შესაბამისი ანალიზის საფუძველზე.

² გარდა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით (State-Owned) შექმნილი კომპანიებისა, აღნიშნული გამონაცლისა არ ვრცელდება იმ სახელმწიფოებზე/ტერიტორიებზე დაფუძნებულ პირებზე, რომლებსაც აქვთ ოფშორული/საყურადღებო ზონის სტატუსი და ასევე, სახელმწიფოებზე/ტერიტორიებზე, რომლებსაც არ აქვთ ეფექტური AML/CFT რეჟიმი, ან არ აქვთ კორუფციის ან/და სხვა კრიმინალური აქტივობის დაბალი დონე.

³ გარდა „ბენეფიციარი მესაკუთრების დადგენის, იდენტიფიკაციისა და მათი ვინაობის გადამოწმების შესახებ სახელმძღვანელოს“ დანართი 2-ით განსაზღვრული საკრიაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ორგანიზაციებისა.

ლ) კლიენტის (ბენეფიციარი მესაკუთრის), ხელმძღვანელის შესახებ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის მიწოდებულია ანგარიშგება „საეჭვო“ სტატუსით;

მ) კლიენტი, რომელიც სისტემატურად ახორციელებს ტრანზაქციებს საყურადღებო/ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კონტრაგენტებთან/ფინანსურ ინსტიტუტებთან, ან რომლის დავალებითაც ხორციელდება აღნიშნული ოპერაციები.

2. თუ ფიზიკურ პირი (კლიენტი) ფლობს ან განაგებს პირველი პუნქტით განსაზღვრულ რომელიმე მაღალრისკიან ბიზნესს (მაგალითად, არარეზიდენტ კომპანიას, რომელიც ვაჭრობს ბინარული ოფციონებით), მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა აღნიშნული უნდა განიხილოს როგორც ფიზიკური პირისთვის რისკის მაღალი დონის მინიჭების საფუძველი.

3. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული მაღალი რისკის გარემოება გამოვლინდა საქმიანი ურთიერთობის განმავლობაში (მაგალითად, კლიენტი გახდა პოლიტიკურად აქტიური პირი), კლიენტს უნდა მიენიჭოს რისკის მაღალი დონე და დაუყოვნებლივ გატარდეს შესაბამისი ზომები.

მუხლი 3. დაბალი რისკის მატარებელი კლიენტები

1. მონიტორინგის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია დაბალი რისკი მიანიჭოს ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის კლიენტებს, თუ სახეზე არ არის რისკ-ფაქტორი (დაკავშირებული, მაგალითად, საქმიანობის სფეროსთან, გეოგრაფიულ რისკთან), საეჭვოობის რაიტე ინდიკატორი, კლიენტის პროფილისთვის უჩვეულო საერთაშორისო ტრანზაქციები, მომატებული რისკის მატარებელი კონტრაგენტები და სხვ.:

ა) სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები;

ბ) კლიენტი წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტს ისეთი იურისდიქციიდან, სადაც მოქმედებს ეფექტური AML/CFT რეჟიმი და რომლის AML/CFT ვალდებულებებთან შესაბამისობის შემოწმება ხდება ზედამხედველის მიერ და ამავდროულად, უკანასკნელ წლებში არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი შეუსაბამოებები;

გ) საერთაშორისო ორგანიზაციები და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები⁴;

გ) კლიენტი, რომელსაც ბირჟის ან კანონმდებლობის თანახმად მოეთხოვება ინფორმაციის გამუღავნება, ბენეფიციური მფლობელობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და რომლის აქციებიც საჯაროდ ივაჭრება აღიარებულ საფონდო ბირჟებზე⁵;

დ) საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო იურიდიული პირი სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი

⁴ იხ. „ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენის, იდენტიფიკაციის და მათი ვინაობის გადამოწმების შესახებ სახელმძღვანელო“.

⁵ ბირჟის შეფასების მიზნებისთვის იხელმძღვანელეთ „ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენის, იდენტიფიკაციის და მათი ვინაობის გადამოწმების შესახებ სახელმძღვანელო“ დოკუმენტით.

მონაწილეობით ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი⁶:

ე) ბანკში სახელფასო პროგრამით მოსარგებლე ფიზიკური პირები, რომელთა საერთო ბრუნვა მნიშვნელოვნად არ აღემატება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს და უმეტესად ახორციელებენ ადგილობრივ ტრანზაქციებს⁷;

ვ) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები, რომელთა ფინანსური აქტივობა შემოიფარგლება სესხის მიღების (არაუმეტეს 15000 ლარისა) ოპერაციით;

ზ) პენსიონერები და სოციალურად დაუცველები, რომლებიც სახელმწიფოსგან იღებენ პენსიას/შემწეობას და უფიქსირდებათ მხოლოდ აღნიშნული თანხების ბრუნვა ან უმნიშვნელოდ მეტი;

თ) ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და მინიჭებული აქვთ მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსი;

ი) კლიენტები, რომლებიც გეგმავენ (მიზნისა და განზრახული არსის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად) მცირე საანგარიშო ბალანსის შენარჩუნებას და ახორციელებენ ერთი ტიპის ადგილობრივ ოპერაციებს (საყოფაცხოვრებო, საბიუჯეტო, სწავლის საფასური, სამედიცინო მომსახურება);

კ) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა ფინანსური აქტივობა შემოიფარგლება მცირე მოცულობის, არაინტენსიური ხასიათის კონვერტაციის ოპერაციებით.

2. დასაშვებია ამ მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების კომბინაცია, მაგალითად, დაბალი რისკი შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელსაც აქვს სასესხო ვალდებულება არა უმეტეს 15 000 ლარისა და ამავდროულად, ახორციელებელს მცირე მოცულობის არაინტენსიური ხასიათის კონვერტაციის ოპერაციებს.

⁶ აღნიშნული არ ვრცელდება იმ სახელმწიფოებზე/ტერიტორიებზე დაფუძნებულ პირებზე, რომლებსაც აქვთ ოფშორული/საყურადღებო ზონის სტატუსი და ასევე, სახელმწიფოებზე/ტერიტორიებზე, რომლებსაც არ აქვთ ფინანსური AML/CFT სისტემა, ან არ აქვთ კორუფციის და სხვა კრიმინალური აქტივობის დაბალი დონე.

⁷ ასეთ შემთხვევაში, დამსაქმებელი არ უნდა იყოს მაღალი რისკის მატარებელი.

ქვემოთ ჩამოთვლილ პროდუქტები (სერვისები)/ტრანზაქციები განიხილება მაღალი საწყისი რისკის მატარებლად. მონიტორინგის განმახორციელებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს მათი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიწოდების არხები, ტრანზაქციების მოცულობა, ინტენსივობა, ქეშ-სენსიტიურობა და სხვა რელევანტური რისკ-ფაქტორები, ასევე, მიტიგაციის ზომები და აღნიშნულის მიხედვით შეაფასოს ნარჩენი რისკის დონე.

ა) კომერციული ბანკები:

- ა.ა) ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ა.ბ) ნაღდი ფორმით თანხის განთავსება ანგარიშებზე (მათ შორის ტექნიკური საშუალებებით);
- ა.გ) თანხის განაღდების (გატანის) ოპერაციები;
- ა.დ) სამგზავრო ჩეკის/სხვა ბანკის ჩეკის განაღდება;
- ა.ე) საბლანკო სესხები (გარდა სახელფასო პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხებისა);
- ა.ვ) ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ა.ზ) ძვირფასი ნივთებით, ძვირფასი ლითონებით ან/და ქვებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ა.თ) ანტიკვარიატით ან/და ხელოვნების ნიმუშებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ა.ი) მესამე პირის ქონებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ა.კ) დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხები;
- ა.ლ) კასტოდიანური მომსახურება;
- ა.მ) საინვესტიციო საბანკო მომსახურება/დაგროვილი ქონების მართვა (WM);
- ა.ნ) სატრასტო ოპერაციები, სახსრების მოზიდვა და განთავსება;
- ა.ო) პერსონალური საბანკო მომსახურება;
- ა.პ) ესქრო მომსახურება;
- ა.ჟ) ინდივიდუალური სეიფებით მომსახურება;
- ა.რ) ნომინალური ანგარიში;
- ა.ს) ანგარიშის გახსნა მინდობილობით;
- ა.ტ) ერთობლივი ანგარიში (გარდა, ოჯახის წევრების ერთობლივი ანგარიშებისა);
- ა.უ) არარეზიდენტ მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობით ანგარიშის გახსნა;
- ა.ფ) პროდუქტები ან სერვისები, რომლებიც არ საჭიროებს ანგარიშის გახსნას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოპერაციის დანიშნულება არის საყოფაცხოვრებო გადასახადი, სამედიცინო მომსახურების გადასახადის ან სწავლის საფასურის გადახდა, ასევე, თუ გადახდის ოპერაციის თანხის მიმღები არის სახელმწიფო ხაზინა ან სხვა სახელმწიფო ორგანო);
- ა.ქ) წინასწარი გადახდის ზარათები;

- ა.ღ) იდენტიფიკაციის გარეშე განხორციელებული ოპერაციები;
- ა.ყ) საერთაშორისო ტრანზაქციები (მათ შორის, გზავნილის სისტემით განხორციელებული);
- ა.შ) საერთაშორისო საბანკო გარანტიები/აკრედიტივები;
- ა.ჩ) საერთაშორისო ელექტრონული კომერცია.

ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციები:

- ბ.ა) ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ნაღდი ანგარიშსწორებით;
- ბ.ბ) საბლანკო სესხები;
- ბ.გ) ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ბ.დ) ძვირფასი ნივთებით, ძვირფასი ლითონებით ან/და ქვებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ბ.ე) ანტიკვარიატით ან/და ხელოვნების ნიმუშებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ბ.ვ) მესამე პირის ქონებით უზრუნველყოფილი სესხები;
- ბ.ზ) ნასესხები სახსრები (მოზიდული საყურადღებო/ოფშორული ზონის რეზიდენტისგან);
- ბ.თ) კერძო შეთავაზების გზით რეალიზებული ობლიგაციები;
- ბ.ი) საერთაშორისო ტრანზაქციები (გზავნილები);
- ბ.კ) იდენტიფიკაციის გარეშე განხორციელებული ოპერაციები;
- ბ.ლ) პროდუქტები/სერვისები, რომელთა მიწოდებისას, კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება არარეზიდენტ მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობით.

გ) საბროკერო კომპანიები:

- გ.ა) წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდებით შესრულებული გარიგება;
- გ.ბ) საკონსულტაციო მომსახურება;
- გ.გ) საინვესტიციო პორტფელის მართვა (საინვესტიციო მომსახურება);
- გ.დ) ნაღდი ფორმით განხორციელებული გარიგება;
- გ.ე) არარეზიდენტი ნომინალური მფლობელის დავალებით განხორციელებული გარიგება;
- გ.ვ) ფინანსური ინსტრუმენტით სავაჭრო პლატფორმაზე განხორციელებული გარიგება (Forex);
- გ.ზ) იდენტიფიკაციის გარეშე განხორციელებული ოპერაციები;
- გ.თ) არასაბირჟო გარიგება;
- გ.ი) საერთაშორისო ტრანზაქციები (დაკავშირებული როგორც ფასიანი ქაღალდების, ისე ფულის მომრაობასთან);
- გ.კ) კასტოდიანური მომსახურება;
- გ.ლ) პროდუქტები/სერვისები, რომელთა მიწოდებისას, კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება არარეზიდენტ მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობით;

გ.მ) პროდუქტები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ინსაიდერული ვაჭრობისა და ბაზრის მანიპულაციისთვის (მაგალითად, დაბალფასიანი ფასიანი ქაღალდები).

დ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერები:

დ.ა) საერთაშორისო ელექტრონული კომერცია;

დ.ბ) ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებული ტრანზაქციები;

დ.გ) საერთაშორისო ტრანზაქციები (მათ შორის, შესრულებული ქეშ-კიოსკით, ელექტრონული საფულით, P2P);

დ.დ) ელექტრონული ფულის განაღდება;

დ.ე) წინასწარი გადახდის ბარათები;

დ.ვ) იდენტიფიკაციის გარეშე განხორციელებული ოპერაციები;

დ.ზ) პროდუქტები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გამოიყენებოდეს გადახდისთვის მომატებული რისკის მატარებელი მერჩანტების ვებ-გვერდებზე ან/და პროდუქტები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გამოიყენებოდეს გადახდისთვის მერჩანტების/გადახდის ობიექტების შეუზღუდვავი წრისთვის;

დ.თ) პროდუქტები/სერვისები, რომელთა მიწოდებისას, კლიენტის იდენტიფიკაცია ხდება არარეზიდენტ მესამე პირზე/შუამავალზე დაყრდნობით.